საიდ. №72659/03
IR 1160672

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №114-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. კერესელიძე, ქ. კილაძე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2014 წლის 28 ივლისის №ა-196 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანია „ენტერპრაიზ ჰოლდინგს ინკ”-ის (ENTERPRISE HOLDINGS, INC.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №114-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №781/03 ბრძანების ბათილად ცნობა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ENTERPRISE” (საიდ. №72659/03 IR 11606672) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე, 37-ე, 39-ე და 42-ე კლასი). „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №781/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი "ENTERPRISE" მსგავსია კომპანიის „ენტერპრაიზ რენტ ე ქარ კომპანი”-ს („NTERPRISE RENT-A-CAR COMPANY” მის: 600 CORPORATE PARK DRIVE, ST. LOUIS, MISSOURI 63105, USA) სახელზე 35-ე, 37-ე, 39-ე და 42-ე კლასების მსგავსი მომსახურებისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა: "ENTERPRISE" (რეგ. № 9179; რეგ თარ. 1998-05-04.); "ENTERPRISE" (რეგ. № 9518;რეგ თარ. 1998-06-02), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელმა კომპანიამ „ენტერპრაიზ რენტ ე ქარ კომპანი” შეიცვალა სახელწოდება შემდეგზე: „ენტერპრაიზ ჰოლდინგზ, ინკ” (ENTERPRISE HOLDINGS, INC.). აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე კომპანიას ენტერპრაიზ ჰოლდინგზ, ინკ.”.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2014 წლის 23 ივნისს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ოფიციალურ რეესტრში დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელმა კომპანიამ „ენტერპრაიზ რენტ ე ქარ” შეიცვალა სახელწოდება და გახდა „ენტერპრაიზ ჰოლდინგზ, ინკ.” (ENTERPRISE HOLDINGS, INC.). აღნიშნული ცვლილების თანახმად, განცხადებული და დაპირისპირებული

სასაქონლო ნიშნების მფლობელი ერთი და იგივე პირია, შესაბამისად, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ეკუთვნის ერთი და იმავე პირს, შესაბამისად აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ენტერპრაიზ ჰოლდინგზ, ინკ" (ENTERPRISE HOLDINGS, INC.). სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №781/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ENTERPRISE" (საიდ. №72659/03 IR 11606672) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ლ. კერესელიძე

ქ. კილაძე